გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №23

ქ. თბილისი აკ. ვასაძის ქ. №14

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, „ს[1]“ პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე-მონეტარული ზღვრების დაცვით, დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ააიპ „სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი” (ს/კ 209467799) წარმომადგენელი – თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი გოგია (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, აკ. ვასაძის ქ.#14, ტელეფონი: (032) 265-18-83; E-mail: theatreakhmeteli@gmail.com და მეორეს მხრივ, შპს ციტადელი (ს/კ 404924285) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი გრიგოლ ქურცაძე (პ/ნ-54001020942) იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, დ. თავდადებულის ქ., N16, ბ. 50 ელ. ფოსტა: citadeli.geo@gmail.com (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ელექტრონულად ვდებთ და ვადასტურებთ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით წინამდებარე ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას” შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება” (შემდგომში ,,ხელშეკრულება”) - ნიშნავს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ელექტრონულად გაფორმებულ „ხელშეკრულებას“, დადასტურებულს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

1.2 ,,ხელშეკრულება” - ელექტრონული დოკუმენტი, სადაც ელექტრონული ფორმითაა შენახული ინფორმაციისა ან/და მონაცემთა ერთობლიობა.

1.3 „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა“ - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება.

1.4 „ელექტრონული შტამპი“ - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება.

1.5 „ხელმომწერი” - ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ შესაბამისად ელექტრონულ დოკუმენტს ელექტრონულად აწერს ხელს.

1.6 „შტამპის დამსმელი“ - იურიდიული პირი, რომელიც ელექტრონულ დოკუმენტზე ელექტრონულ შტამპს ქმნის. „იურიდიული პირი“ გულისხმობს აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, არარეგისტრირებულ კავშირს, ამხანაგობას.

1.7 „საქონელი“ - ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების „თანმდევი მომსახურება“, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას.

1.8 „სამშენებლო სამუშაო“ (შემდგომში – „სამუშაო“) - შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის, სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება-აშენება, აღჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანმდევი მომსახურება, როგორიცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას.

1.9 „მომსახურება” - შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა.

1.10 ,,ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ 3.1 მუხლში მითითებულ თანხას, რომელიც „შემსყიდველმა“ უნდა გადაიხადოს „მიმწოდებელის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.11 ,,შემსყიდველი" ნიშნავს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.
1.12 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც „შემსყიდველ" ორგანიზაციასთან დადო „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება".
1.13 „CPV კოდი" - შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით გათვალისწინებული კლასიფიკატორის 8-ნიშნა კოდი.
1.14 ,,შესყიდვის ობიექტი''- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს - შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს CPV-31200000 - ელექტროენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა ღირებულებით 345.6 ლარი; CPV-44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები ღირებულებით 12 ლარი; CPV-44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები ღირებულებით 1.6 ლარი; CPV-44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები ღირებულებით 73 ლარი; შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს სულ 432.2 ლარს, შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ.თბილისში აკ.ვასაძის ქ. #14–ში კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრული ჩამონათვალი და აღწერა, საიდენტიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა(მოცულობა), ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება და სხვა აუცილებელი მონაცემები მოცემულია წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით შედგენილ ხელშეკრულების დანართი #1-ფასების ცხრილში და იგი წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **432.2 ლარს (ოთხას ოცდათორმეტი ლარი და 20 თეთრი).**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის (რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტონული შტამპით) და მასზედ წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ და/ან კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება–ჩაბარების აქტის ან/და ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის ან/და სხვა დოკუმენტის) უფლებამოსილი წარმომადგენლების ელექტრონულად ხელმოწერის ან/და ელექტრონულად გამოწერის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) შემსყიდველის მიერ გამოყოფილ პირთან ან პირთა ჯგუფთან შეათანხმოს მასალების ხარისხი (წარმოადგინოს ნიმუშები) და მხოლოდ ამ პირთა მხრიდან ნიმუშების არჩევის შემდეგ განახორციელოს მათი მიწოდება.
გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე შეცვალოს უხარისხო–წუნდებული შესყიდვის ობიექტი.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: **ირაკლი ბილისეიშვილი,** რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული „მხარე“ დაზარალებულ „მხარეს“ აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2. „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.
10.3. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო „ხელშეკრულების“ საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის ოდენობით.
10.4. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
10.5. მიმწოდებელმა პირგასამტეხლო უნდა გადაიხადოს შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.7. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებითი განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხიასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებით ვადის განსაზღვრას უთანაბრდება, გაფრთხილება.
10.8. „მიმწოდებელის“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება „ხელშეკრულების“ სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
10.9. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის **მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიციური ელ. შტამპით დადასტურებიდან** და მოქმედებს **2023 წლის 30 მაისის ჩათვლით** ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

13. სხვა პირობები

13.1. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად (ელექტრონული დოკუმენტი), დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტონული შტამპით.
13.2. იურიდიული მისამართის, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის, საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლის შემთხვევაში „მხარეები“ ვალდებულები არიან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ააიპ „სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი“(ს/კ: 209467799)	**შპს ციტადელი (ს/კ 404924285)**
საბანკო რეკვიზიტები: **სახელმწიფო ხაზინა** **ხაზინის ერთიანი ანგარიში**	**საბანკო რეკვიზიტები:** **BAGAGE22 GE51BG0000000036643000** **TBCBGE22 GE62TB7530536080100001**
სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი გოგია	**დირექტორი გრიგოლ ქურცაძე (პ/ნ-54001020942)**
ხელმოწერა: ----------	ხელმოწერა: ----------

Tbilisi Sandro Akhmeteli State Drama Theatre
Digitally signed by Tbilisi Sandro Akhmeteli State Drama Theatre
Date: 2023.03.02 14:49:53 +04'00'

Grigol Kurtsadze 54001020942
Digitally signed by Grigol Kurtsadze
Date: 2023.03.02 16:15:23

2023 წლის №23 ხელშეკრულების დანართი №1 - ფასების ცხრილი

შემსყიდველი			მიმწოდებელი					
ააიპ „სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი“ ს/კ: 209467799			შპს ციტადელი ს/კ:404924285					
№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები	კლასიფიკატორის (CVP) კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	გადამრთველი VIKO Vera 1-ნი გარეთა	31214000	ცალი	3	3.6	10.8	2023 წლის 30 მარტის ჩათვლით	ქ.თბილისი ი.ვასაძის ქ.№14
2	ელექტრო დამცველი 1*25A C 3KA "Viko"		ცალი	1	6.9	6.9		
3	ელექტრო დამცველი 1*40A C 3KA "Viko"		ცალი	1	6.9	6.9		
4	ელ. სადენი H05VVH2-F 2X2.5	31224000	მეტრი	100	2.4	240		
5	ელ. სადენი H05VVH2-F 2X1.5		მეტრი	50	1.5	75		
6	LEDEX ნათურის ვაზნა კერამიკული E27		ცალი	10	0.6	6		
7	კნაუფის გამჭედი დუბელი "კ" 6*35	44192200	ცალი	100	0.12	12		
8	LEDEX-42102 პლასტმასის ცალუღი 2.5X100MM	44425100	შეკვრა	1	1.6	1.6		
9	TOL816-43060 ქაფის პისტოლეტი	44512000	ცალი	1	35	35		
10	ალუმინის სახელური SOFYA, ალუმინის როზეტით, , AGB ტიპის მექანიზმით, ცილინდრი 70მმ (35*35მმ) SN.	44522000	ცალი	1	38	38		
ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება						432.2		
						ოთხას ოცდათორმეტი ლარი და 20 თეთრი		
შემსყიდველის წარმომადგენელი			მიმწოდებლის წარმომადგენელი					
სამხატვრო ხელმძღვანელი			დირექტორი					
ირაკლი გოგია			გრიგოლ ქურცაძე					
ხელის მოწერა ----------			ხელის მოწერა ----------					

Tbilisi Sandro Akhmeteli State Drama Theatre

Digitally signed by Tbilisi Sandro Akhmeteli State Drama Theatre
Date: 2023.03.02 14:50:16 +04'00'

CITADELI BUILDING MATERIALS

ინვოისი

მიმ: შპს ციტადელი - 404924285

ბანკის დასახელება:	**საქართველოს ბანკი**	**თარიღი:**	**01.მარ.2023**
ბანკის კოდი:	BAGAGE22	**ინვოისის №:**	31357487
ანგარიშის ნომერი:	GE51BG0000000036643000	**გადახდის ვადა:**	

ბანკის დასახელება:	**თიბისი ბანკი**	**გადამხდელი:**	**ქ. თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ბანკის კოდი:	TBCBGE22		
ანგარიშის ნომერი:	GE62TB7530536080100001		

საიდენტიფიკაციო კოდი: 209467799

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ელ. სადენი H05VVH2-F 2X2.5	მ	100	2.4	240
2	ელ. სადენი H05VVH2-F 2X1.5	მ	50	1.5	75
3	LEDEX ნათურის ვაზნა კერამიკული E27	ც	10	0.6	6
4	გადამრთველი VIKO Vera 1-ნი გარეთა	ც	3	3.6	10.8
5	ელექტრო დამცველი 1*25A C 3KA "Viko"	ც	1	6.9	6.9
6	ელექტრო დამცველი 1*40A C 3KA "Viko"	ც	1	6.9	6.9
7	კნაუფის გამჭედი დუბელი "კ" 6*35	ც	100	0.12	12
8	TOL816-43060 ქაფის პისტოლეტი	ც	1	35	35
9	LEDEX-42102 პლასტმასის ცალუღი 2.5X100MM	შეკვრა	1	1.6	1.6
10	ალუმინის სახელური SOFYA, ალუმინის როზეტით, , AGB ტიპის მექანიზმით, ცილინდრი 70მმ (35*35მმ) SN.	ც	1	38	38
		ჯამი(GEL):	**268.00**		**432.20**

მათ შორის დღგ: 65.93

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი:	რ. აგლაძის N32
თანამშრომელი:	გიგა მუშუქია
ტელეფონი:	(322) 35-00-35
მეილი:	Operators@citadeli.com

ხელმოწერა

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

წერილობითი დადასტურება

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ე“, მე-4 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, **ააიპ „სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის” (ს/კ 209467799) სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი გოგია** და დასაქმებული - **ირაკლი ბილისეიშვილი** ვადასტურებთ, რომ **შპს „ციტადელის“-გან (ს/კ 404924285)** შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

1. **ირაკლი გოგია** ----------;

Tbilisi Sandro Akhmeteli State Drama Theatre

Digitally signed by Tbilisi Sandro Akhmeteli State Drama Theatre
Date: 2023.03.02 14:50:39 +04'00'

2. **ირაკლი ბილისეიშვილი** ----------;

შენიშვნა: პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები, კერძოდ: მუხლი 19. ურთიერთდამოკიდებული პირები

1. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

2. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;

გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;

დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;

ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;

ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;

თ) პირები ნათესავები არიან;

ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან.